ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-13

2017 წლის 18 აგვისტო
ქ. თბილისი

განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს „განგრძობითი განათლების სტანდარტი“ თანდართული დანართის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს ,,სწავლის შედეგები“ თანდართული დანართი ,,ა“- ს შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 22 მარტის ბრძანება №ნ-3 - ვებგვერდი, 24.03.2021წ.

მუხლი 2

ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-7 – მე-9, მე-11 და მე-12 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

ამ ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი, მე-7 – მე-9, მე-11 და მე-12 მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი **იური დოლიძე**

განგრძობითი განათლების სტანდარტი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს სტანდარტი, სერტიფიცირებული ბუღალტრის კვალიფიკაციის შენარჩუნებისთვის, განსაზღვრავს განგრძობითი განათლების პროგრამას და მისი განხორციელებისა და აღიარების სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 2. სტანდარტის სამართლებრივი საფუძვლები

ეს სტანდარტი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონს (შემდგომ – კანონი) და შეესაბამება ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES).

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ სტანდარტის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სერტიფიცირებული ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ – სამსახური) მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებულია ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებულია კანონით და რომელიც სერტიფიცირების შემდეგ თავის კვალიფიკაციას განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად ადასტურებს;

ბ) განგრძობითი განათლება – სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭების შემდგომ სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნების და განვითარების პროცესი;

გ) განგრძობითი განათლების პროგრამა – სასწავლო კურსების (სილაბუსების) ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლის ერთეულები (საათები), სასწავლო პროცესის განხორციელების თავისებურებები.

დ) სწავლის შედეგები – ცოდნის მოცულობა და სიღრმე, შემეცნება და გამოყენება, რომლის მიღწევა და შენარჩუნება სავალდებულოა სერტიფიცირებული ბუღალტრისათვის;

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ამ სტანდარტის მიზნებისათვის მასში გამოყენებული ტერმინები განიმარტება კანონითა და სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №ნ-10 - ვებგვერდი, 04.09.2023წ.

მუხლი 4. განგრძობითი განათლების მიზანი

განგრძობითი განათლების მიზანია:

ა) სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნება და განვითარება, რომელიც საჭიროა პირის მიერ სათანადო პროფესიული მომსახურების გასაწევად და პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხის ასამაღლებლად;

ბ) ახალი როლის შესასრულებლად საჭირო პროფესიული კომპეტენციის შეძენა და მათი განვითარება, რაც გამოიხატება ტექნიკური კომპეტენციის, პროფესიული უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების სათანადო დონეზე სრულყოფაში.

მუხლი 5. განგრძობითი განათლების პროცესის წარმართვა

1. განგრძობითი განათლების პროცესს უზრუნველყოფენ პროფესიული ორგანიზაციები.

2. პროფესიული ორგანიზაციები ვალდებული არიან, მონიტორინგი გაუწიონ თავიანთი წევრ სერტიფიცირებულ ბუღალტერთა განგრძობით განათლებას და აწარმოონ შესაბამისი აღრიცხვა.

3. პროფესიულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრის განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამ პუნქტით გათვალისწინებული სისტემა გულისხმობს იმ პროცესების/პროცედურების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ამ სტანდარტით დადგენილი მიზნების მიღწევას.

4. განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარებას და მათ სამსახურის მიერ დადგენილ წესებთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასებას უზრუნველყოფს სამსახური.

5. სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია ჩაერთოს სამსახურის მიერ აღიარებულ, სხვა პროფესიული ორგანიზაციის განგრძობითი განათლების პროგრამაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია მის წევრ სერტიფიცირებულ ბუღალტერს, განგრძობითი განათლების გავლის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენის საფუძველზე, შესრულებულად ჩაუთვალოს შესაბამისი სწავლის ერთეული (საათი).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 16.07.2020წ.

მუხლი 6. განგრძობითი განათლების მოთხოვნა

1. სერტიფიცირებული ბუღალტერი ვალდებულია ყოველწლიურად აკმაყოფილებდეს განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნებს და სერტიფიცირების შემდეგ ადასტურებდეს თავის კვალიფიკაციას.

2. სერტიფიცირებული ბუღალტერი, განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესასრულებლად, ვალდებულია, ყოველი, 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე გაიაროს განგრძობითი განათლების სულ მცირე 90 საათი (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეული).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამწლიანი თანმიმდევრული პერიოდის ათვლა იწყება სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭების მომდევნო კალენდარული წლიდან.

[3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამწლიანი თანმიმდევრული პერიოდის ათვლა იწყება სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭების მომდევნო კალენდარული წლიდან, ხოლო ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობით განათლებასთან მიმართებაში ვალდებულება წარმოიშობა სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული წლის 31 დეკემბრისა. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

4. სერტიფიცირებული ბუღალტერი ვალდებულია, 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე, ყოველ წელს გაიაროს, სულ მცირე, შემოწმებადი 20-საათიანი (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეული) განგრძობითი განათლება.

5. პროფესიული ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია, გაზარდოს განგრძობითი განათლებისთვის სავალდებულო, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სწავლის ერთეულის რაოდენობა ყველა წევრის ან მათი ნაწილისათვის. საჭიროება შეიძლება გამომდინარეობდეს სამსახურში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების ხარვეზების, პროფესიული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებიდან ან კანონმდებლობაში, სტანდარტებში ან სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებებით.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული, გავლილი საათების რაოდენობიდან მინიმუმ 60 საათი უნდა იყოს შემოწმებადი. სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია, 30 საათი გაიაროს არაშემოწმებადი განგრძობითი განათლების ფორმით, ამ სტანდარტის მე-7 მუხლით დადგენილი წესით.

7. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია მისი წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრისთვის უზრუნველყოს განგრძობითი განათლებისთვის საჭირო ინფორმაციის, და არსებობის შემთხვევაში, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

8. პროფესიული ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან ითანამშრომლონ განგრძობითი განათლების მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, შესაფერისი გარემოს შექმნისა და მუდმივი გაუმჯობესებისათვის.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 16.07.2020წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 25.08.2023წ.

6^1. განგრძობითი განათლების მოთხოვნა აუდიტორისათვის

1. გარდა სტანდარტით დადგენილი განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნებისა, სერტიფიცირებული ბუღალტერი, რომელიც არის აუდიტორი ან სურს აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია, ვალდებულია 3 (სამი) უწყვეტი წლის განმავლობაში დააკმაყოფილოს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

2. აუდიტორი, განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესასრულებლად, ვალდებულია, ყოველი 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე გაიაროს განგრძობითი განათლების სულ მცირე 120 საათი (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეული).

3. აუდიტორი ვალდებულია, 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე, ყოველ წელს გაიაროს, სულ მცირე, შემოწმებადი 30-საათიანი (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეული) განგრძობითი განათლება.

4. პროფესიული ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია გაზარდოს განგრძობითი განათლებისთვის სავალდებულო, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სწავლის ერთეულის რაოდენობა ყველა წევრის ან მათი ნაწილისათვის. საჭიროება შეიძლება გამომდინარეობდეს ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის, დიაგნოსტიკური ანგარიშის ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებიდან ან კანონმდებლობაში, სტანდარტებში ან აუდიტის სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებებით.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული, გავლილი საათების რაოდენობიდან მინიმუმ 90 საათი უნდა იყოს შემოწმებადი. სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია, 30 საათი გაიაროს არაშემოწმებადი განგრძობითი განათლების ფორმით, ამ სტანდარტის მე-7 მუხლით დადგენილი წესით.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 16.07.2020წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №ნ-10 - ვებგვერდი, 04.09.2023წ.

მუხლი 7. განგრძობითი განათლების ფორმები

1. განგრძობითი განათლების ფორმებია:

ა) შემოწმებადი განგრძობითი განათლება;

ბ) არაშემოწმებადი განგრძობითი განათლება.

2. შემოწმებადი განგრძობითი განათლებაა:

ა) პროფესიული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული განგრძობითი განათლების პროგრამებში მონაწილეობა;

ბ) სწავლა სამუშაო ადგილზე (აუდიტორული ფირმის პოლიტიკის ფარგლებში);

გ) პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევა, პროფესიული, ტექნიკური ან აკადემიური სახის სტატიის/ნაშრომის გამოქვეყნება ან წიგნის გამოცემა;

დ) „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის ნ-16 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის (დანართი №1) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროფესიული სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

ე) ბიზნესის ადმინისტრირების, ბუღალტრული აღრიცხვის, მენეჯმენტის, ფინანსების ან/და ეკონომიკის მიმართულებით მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვება;

ვ) განგრძობითი განათლების პროგრამის სწავლებაში მონაწილეობა (ლექტორობა, ინსტრუქტორობა);

ზ) პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონფერენციებში მონაწილეობა.

3. არაშემოწმებადი განგრძობითი განათლებაა:

ა) პროფესიასთან დაკავშირებით ბრიფინგებზე ან შესაბამის განხილვებში მონაწილეობა;

ბ) პროფესიული ლიტერატურის ან ჟურნალების გაცნობა, რაც პიროვნებას დაეხმარება პროფესიული როლის შესრულებაში;

გ) პროფესიულ განვითარებაში დახმარება სხვა სერტიფიცირებული ბუღალტრისათვის ან პირიქით.

4. სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრისათვის ან სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ჯგუფისათვის შექმნას განგრძობითი განვითარების ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კონცეფციის სტრუქტურა და სახელმძღვანელო. განგრძობითი განვითარების ჩარჩო უნდა დაეხმაროს სერტიფიცირებულ ბუღალტერს განსაზღვროს, განახორციელოს და აღრიცხოს მისთვის რელევანტური განგრძობითი განვითარების პროცესი. განგრძობითი განათლების ჩარჩო სულ მცირე უნდა მოიცავდეს:

ა) რელევანტური სწავლის შედეგების და ინდივიდუალური განვითარების მოთხოვნილისაგან განსხვავების იდენტიფიცირებისათვის თვითშეფასების პროცესს;

ბ) განვითარებისათვის განკუთვნილი აქტივობების შესრულების და აღრიცხვის გეგმას;

გ) დასრულებული სწავლისა და განვითარებისათვის განკუთვნილი აქტივობების შეფასებას და თვითგააზრების განხორციელებას;

დ) სწავლისა და განვითარებისათვის განკუთვნილი გეგმის შესაბამისად შესწორებას.

[4[1]. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ჩაითვლება ერთ-ერთი წინაპირობის შესრულების შემდგომ:

ა) ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსში/ტრენინგში მონაწილეობა;

ბ) ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის/ტრენინგის სწავლებაში მონაწილეობა (ლექტორობა, ინსტრუქტორობა). ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის განგრძობითი განვითარების ჩარჩოში დაგეგმილი სწავლის შედეგები სულ მცირე უნდა მოიცავდეს დანართი „ა“-თი განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

ბუღალტრული არღირცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №ნ-13 - ვებგვერდი, 19.08.2019წ.

აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 22 მარტის ბრძანება №ნ-3 - ვებგვერდი, 24.03.2021წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 25.08.2023წ.

მუხლი 8. განგრძობითი განათლების მიზნის მიღწევის შეფასება

1. იმისათვის, რომ სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ მიღწეულ იქნეს განგრძობითი განათლების მიზნები, პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია იხელმძღვანელოს სწავლის შედეგზე დაფუძნებული მიდგომით. ამასთან, პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია ასევე გამოიყენოს

დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომა.

2. სწავლის შედეგზე დაფუძნებული მიდგომის შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაცია განგრძობითი განათლების მიზნის მიღწევის შეფასებისთვის ხელმძღვანელობს სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ წარდგენილი, შედეგის ამსახველი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს მიღწეულ და შენარჩუნებულ კომპეტენციას.

3. დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაცია განგრძობითი განათლების მიზნის მიღწევის შეფასებისთვის ხელმძღვანელობს იმ სასწავლო ღონისძიებაზე დასწრებით, რომლის მოცულობა (სწავლის ერთეული) და შინაარსი წინასწარ განსაზღვრულია.

მუხლი 9. სწავლის შედეგების დადასტურება

1. როდესაც განგრძობითი განათლების მიზნები მიიღწევა სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მიდგომით, სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით უზრუნველყოფილი (კომპეტენტური პირის მიერ დადასტურებული) უნდა იყოს მიღწეული პროფესიული კომპეტენციის ნათლად იდენტიფიცირება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეიძლება იყოს:

ა) გამოქვეყნებული მასალის (ნაშრომის) რეცენზენტის მიერ შეფასება;

ბ) გამოცდის შედეგი;

გ) პროფესიული სტატიის ან სამეცნიერო კვლევის პროექტის შედეგების გამოქვეყნება;

დ) მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მიღება.

3. დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის შეფასება ხდება სწავლების ღონისძიებაზე დახარჯული დროის მიხედვით.

4. დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის დროს, დადასტურების მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი:

ა) პროგრამის შინაარსი და სასწავლო მასალები;

ბ) ჩანაწერები, რომლებიც ადასტურებს სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ სწავლების ღონისძიებაზე/სასწავლო კურსზე დასწრებას;

გ) სწავლების პროცესში მონაწილე ინსტრუქტორის, დამსაქმებლის, ლექტორის მონაწილეობის დამადასტურებელი ინფორმაცია.

მუხლი 10. განგრძობითი განათლების მოთხოვნების შესრულების შესახებ ინფორმაციის წარდგენა

1. სერტიფიცირებული ბუღალტერი ვალდებულია პროფესიულ ორგანიზაციას, ყოველწლიურად, არაუგვიანეს მომდევნო წლის 31 იანვრისა წარუდგინოს ინფორმაცია განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულების შესახებ. ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენის ელექტონულ ან/და მატერიალურ ფორმას ადგენს პროფესიული ორგანიზაცია.

1^2. პროფესიული ორგანიზაციები, განგრძობითი განათლების სასწავლო პროცესის წარმართვისათვის დამატებითი ჯგუფის შექმნის მიზნით, არაუგვიანეს მომდევნო წლის 5 თებერვლისა, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ინფორმაციის გაცვლა იმ პირთა რაოდენობის შესახებ, რომელთაც გადაუვადდათ განგრძობითი განათლების გავლა.

1^3. პროფესიული ორგანიზაციების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ მუხლის 1^2 პუნქტით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის დამატებითი ჯგუფის შექმნის

შესახებ ინფორმაცია, აღიარებულ პროგრამაში ცვლილების შეტანის მიზნით, წარედგინება სამსახურს არაუგვიანეს 25 მარტისა.

1^4. ამ მუხლის 1^2 პუნქტით გათვალისწინებული განგრძობითი განათლების დამატებითი სასწავლო პროცესი სრულდება არაუგვიანეს 1 მაისისა.

2. იმ შემთხვევაში თუ სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ ვერ დასტურდება განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულება, პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია მოსთხოვოს მას დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

3. სერტიფიცირებულ ბუღალტერი, რომელიც განგრძობით განათლებას გაივლის პროფესიული ორგანიზაციის მიერ განგრძობითი განათლების ფარგლებში ორგანიზებულ სასწავლო პროცესში, თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებისაგან.

ბუღალტრული არღირცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №ნ-13 - ვებგვერდი, 19.08.2019წ.

მუხლი 11. განგრძობითი განათლების მოთხოვნების ჩათვლა

1. სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია, მიიღოს განგრძობითი განათლების მოთხოვნის ჩათვლა:

ა) არაუმეტეს შემოწმებადი 20 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, სტუდენტის აქტიური სტატუსის პერიოდში ორი თანმიმდევრული წლის განმავლობაში, ბიზნესის ადმინისტრირების, ბუღალტრული აღრიცხვის, მენეჯმენტის, ფინანსების ან/და ეკონომიკის მაგისტრის/დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებისათვის;

ბ) არაუმეტეს შემოწმებადი 20 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით ყოველწლიურად, პროფესიული ორგანიზაციის მიერ განგრძობითი განათლების პროგრამის სწავლების პროცესში, განგრძობითი განათლების პროგრამით გათვალისწინებულ საგანში (თემატიკაში) ლექტორობით/ ინსტრუქტორობით;

გ) არაუმეტეს შემოწმებადი 30 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ გამოაქვეყნა პროფესიული სამაგისტრო ნაშრომი ან დისერტაცია, გამოსცა წიგნი ან ჩაატარა პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევა, რეცენზიებისათვის შესაბამისი მოთხოვნების დაცვით;

დ) არაუმეტეს 30 სწავლის ეკვივალენტური ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ ჩააბარა პროფესიული სასერტიფიკაციო გამოცდა;

ე) არაუმეტეს 10 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ პირი ადასტურებს პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონფერენციაში მონაწილეობას.

2. სერტიფიცირებული ბუღალტერი, რომელსაც მოეთხოვება აუდიტორისათვის განკუთვნილ განგრძობითი განათლების პროგრამაში მონაწილეობა, უფლებამოსილია მიიღოს განგრძობითი განათლების ჩათვლა შემდეგი წესით:

ა) არაუმეტეს შემოწმებადი 30 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, სტუდენტის აქტიური სტატუსის პერიოდში ორი თანმიმდევრული წლის განმავლობაში, ბიზნესის ადმინისტრირების, ბუღალტრული აღრიცხვის, მენეჯმენტის, ფინანსების ან/და ეკონომიკის მაგისტრის/დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებისათვის;

ბ) არაუმეტეს შემოწმებადი 30 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით ყოველწლიურად, პროფესიული ორგანიზაციის მიერ განგრძობითი განათლების პროგრამის სწავლების პროცესში, განგრძობითი განათლების პროგრამით გათვალისწინებულ საგანში (თემატიკაში) ლექტორობით/ ინსტრუქტორობით;

გ) არაუმეტეს შემოწმებადი 40 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ გამოაქვეყნა პროფესიული სამაგისტრო ნაშრომი ან დისერტაცია, გამოსცა წიგნი ან ჩაატარა პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევა და რომლებიც შეფასებულია რეცენზენტის მიერ;

დ) არაუმეტეს 30 სწავლის ეკვივალენტური ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ ჩააბარა პროფესიული სასერტიფიკაციო გამოცდა;

ე) არაუმეტეს 10 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ პირი ადასტურებს პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონფერენციაში მონაწილეობას.“.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთი და იმავე გამოცდის ჩაბარება სერტიფიცირებულ ბუღალტერს განგრძობით განათლებად ჩაეთვლება, თუ სასერტიფიკაციო პროგრამის ცალკეულ გამოცდებს შორის პერიოდი არანაკლებ 3 (სამი) წელია.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის დამადასტურებელ ცნობას გასცემს შესაბამისი პირი.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №ნ-13 - ვებგვერდი, 19.08.2019წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 16.07.2020წ.

მუხლი 12. სამუშაო ადგილზე გავლილი სასწავლო ღონისძიებების ჩათვლა

1. პირი, განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულების დადასტურებისათვის, უფლებამოსილია, პროფესიულ ორგანიზაციას წარუდგინოს დამსაქმებლის პოლიტიკის ფარგლებში ორგანიზებული სასწავლო ღონისძიებების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია (სწავლის ერთეული (საათი), სასწავლო ღონისძიების დასახელება, ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შინაარსი).

2. პროფესიული ორგანიზაცია სერტიფიცირებულ ბუღალტერს, რომელსაც მოეთხოვება აუდიტორისათვის განკუთვნილი განგრძობითი განათლების პროგრამაში მონაწილეობა, უფლებამოსილია ჩაუთვალოს სამუშაო ადგილზე (აუდიტორული ფირმის პოლიტიკის ფარგლებში) გავლილი სასწავლო ღონისძიებების (მათ შორის, ტრენინგის, სემინარისა და ელექტრონული სწავლების) შესაბამისი სწავლის ერთეული (საათი) განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულებად. სასწავლო ღონისძიებების პოლიტიკა და პროცედურები აუდიტორული ფირმის შიდა მართვის სისტემის შემადგენელი ნაწილია და, შესაბამისად, უნდა იყოს დოკუმენტირებული.

3. პროფესიული ორგანიზაცია სერტიფიცირებულ ბუღალტერს, (გარდა ისეთი პირისა, რომელსაც მოეთხოვება აუდიტორისათვის განკუთვნილ განგრძობითი განათლების პროგრამაში მონაწილეობა) უფლებამოსილია, ჩაუთვალოს სამუშაო ადგილზე გავლილი სასწავლო ღონისძიებების (მათ შორის, ტრენინგის, სემინარისა და ელექტრონული სწავლების) შესაბამისი სწავლის ერთეული (საათი) განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულებად.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული სამუშაო ადგილზე გავლილი სასწავლო ღონისძიებების ჩათვლის მიზნებისთვის, პროფესიული ორგანიზაცია ადგენს მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს. აღნიშნული მოთხოვნები და კრიტერიუმები შესაბამისობაში უნდა იყოს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან (IES).

5. პროფესიულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 16.07.2020წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №ნ-10 - ვებგვერდი, 04.09.2023წ.

მუხლი 13. განგრძობითი განათლების გადავადება და შეჩერება

1. სერტიფიცირებული ბუღალტერი, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებისა, უვადოდ ირიცხება პროფესიული ორგანიზაციის სერტიფიცირებული ბუღალტრის რეესტრში.

2. თუ განგრძობითი სწავლების განხორციელების პერიოდში სერტიფიცირებული ბუღალტერი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან ქვეყანაში არყოფნის გამო ვერ შეასრულებს სავალდებულო განგრძობითი განათლების მოთხოვნებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი ცნობა/დოკუმენტაციის წარდგენით მიმართოს მის პროფესიულ ორგანიზაციას მიმდინარე წლის განგრძობითი განათლების სრულად გავლისათვის გასავლელი საათების არაუმეტეს მომავალი წლისთვის გადავადების თხოვნით და განგრძობითი განათლება გაიაროს ამ სტანდარტის მე-10 მუხლის 1^3 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ჯგუფ(ებ)ის შექმნის შემთხვევაში. ამ პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში სერტიფიცირებული ბუღალტერი ექვემდებარება ამ სტანდარტით დადგენილ წესებს.

3. თუ პროფესიული ორგანიზაციის მიერ ამ სტანდარტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში გამოვლინდა, რომ სერტიფიცირებული ბუღალტერი არ აკმაყოფილებს ამ სტანდარტის მე-6 და 6^1 მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს და არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული, მიმდინარე წლის გასავლელი საათების მომავალი წლისთვის გადავადების საფუძველი, პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია, უზრუნველყოს სერტიფიცირებული ბუღალტრის რეესტრიდან ამოღება.

3^1. (ამოღებულია - 15.07.2020, №ნ-9).

3^2. (ამოღებულია - 15.07.2020, №ნ-9).

4. სერტიფიცირებული ბუღალტერი (გარდა აუდიტორისა), რომელიც ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ამოღებულია სერტიფიცირებული ბუღალტრის რეესტრიდან, რეესტრში ასახვის მოთხოვნით უფლებამოსილია, მიმართოს მისთვის სასურველ პროფესიულ ორგანიზაციას და წარუდგინოს არანაკლებ შეჩერებული პერიოდისათვის (კალენდარული წლისათვის) შესაბამისი განგრძობითი განათლების ან არაუმეტეს 90 საათის (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეულის), ხოლო იმ სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა, რომელსაც მოეთხოვება აუდიტორისათვის განკუთვნილ განგრძობითი განათლების პროგრამაში მონაწილეობა, 120 საათის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამ პუნქტის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია, ასახოს სერტიფიცირებული ბუღალტერი შესაბამის რეესტრში. პირი რეესტრში ასახვის შემდეგ ექვემდებარება პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილ წესებს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №ნ-13 - ვებგვერდი, 19.08.2019წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 16.07.2020წ.

მუხლი 14. პროგრამების შედგენისათვის საჭირო კვლევა

1. პროფესიული ორგანიზაცია საჭიროებისამებრ ატარებს კვლევას სერტიფიცირებული ბუღალტრის განგრძობითი განათლებისთვის საჭირო სასწავლო პროგრამების შედგენის მიზნით.

2. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია დამსწრეებისაგან სალექციო კურსის ბოლოს მიიღოს ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით შეფასება (მათ შორის სილაბუსის და ლექტორის შესახებ) და აღნიშნული გამოკითხვის შედეგები გაითვალისწინოს შემდგომი პროგრამების შედგენისათვის.

მუხლი 15. განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარება

1. პროფესიული ორგანიზაციის მიერ წარდგენილ განგრძობითი განათლების პროგრამებს ამ

სტანდარტთან შესაბამისობის საფუძველზე აღიარებს სამსახური.

2. განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარების მიზნით, სამსახურს უნდა წარედგინოს განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს განგრძობითი განათლების პროგრამა.

3. განგრძობითი განათლების პროგრამებში, მათი განხორციელების პროცესში ან გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს ხარვეზ(ებ)ის აღმოფხვრა.

4. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის 1 ივლისამდე წარუდგინოს სამსახურს განცხადება სერტიფიცირებული ბუღალტრისა და აუდიტორისათვის განკუთვნილი განახლებული განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარების მოთხოვნით.

5. პროფესიული ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პროგრამების ამ სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სამსახური უფლებამოსილია მონიტორინგის პროცესში ჩართოს შესაბამისი სფეროს ექსპერტები.

ბუღალტრული არღირცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №ნ-13 - ვებგვერდი, 19.08.2019წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 16.07.2020წ.

მუხლი 16. განგრძობითი განათლების პროგრამა

1. სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლების პროგრამამ უნდა მოიცვას სიახლეები შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

ბ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები;

[ბ[1]) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით კანონმდებლობა და სფეროს მარეგულირებელი ინფორმაცია/შესაბამისი სამართლებრივი აქტები; ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

[გ) ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის, საგადასახადო, ბიზნეს კანონმდებლობა და სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი სამართლებრივი აქტები.***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

გ) საგადასახადო, ბიზნესკანონმდებლობისა და სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

1[1]. აუდიტორისათვის განკუთვნილი განგრძობითი განათლების პროგრამა გამიზნული უნდა იყოს სულ მცირე დანართი ,,ა"-თი გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასა და შენარჩუნებაზე და უნდა მოიცავდეს სიახლეებს, შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

ბ) ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები (ISQM);

გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული და დამტკიცებული მიმოხილვისა და დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტები;

დ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები;

1

[დ) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით კანონმდებლობა და სფეროს მარეგულირებელი ინფორმაცია/შესაბამისი სამართლებრივი აქტები; ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

ე) ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის, საგადასახადო, ბიზნესკანონმდებლობა და სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

[ე) საგადასახადო, ბიზნესკანონმდებლობისა და სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი სამართლებრივი აქტები. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

[1^2. სერტიფიცირებული ბუღალტრებისა და აუდიტორებისთვის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის თემატიკა უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიმოხილვა, გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციები;

ა.ა) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება და მართვა;

ა.ბ) ანგარიშვალდებული პირის შესაბამისობის კონტროლის სისტემა;

ა.გ) საეჭვო გარიგების ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების მცდელობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა/ანგარიშგება;

ა.დ) ანგარიშვალდებული პირის მიერ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები;

ბ) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები;

გ) რისკის შეფასების ეროვნული ანგარიში და სამოქმედო გეგმა. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

[1^3 . სასწავლო კურსი/ტრენინგი შესაძლოა ასევე მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები;

ბ) ფულის გათეთრების ევროდირექტივები;

გ) ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) შეფასებები;

დ) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა.***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

2. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულის გარდა, პროგრამის სასწავლო თემატიკა უნდა შეივსოს სამსახურში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების ხარვეზების, კვლევის შედეგების და ეკონომიკურ გარემოში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით. გარდა ზემოაღნიშნულისა აუდიტორისათვის განკუთვნილი განგრძობითი განათლების პროგრამის თემატიკის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს აუდიტორების/გარიგების პარტნიორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგები და დიაგნოსტიკური ანგარიში.

[2. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულის გარდა, პროგრამის სასწავლო თემატიკა უნდა შეივსოს სამსახურში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების ხარვეზების, კვლევის

შედეგების და ეკონომიკურ გარემოში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების და შემოწმების შედეგად, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ პირებთან დაკავშირებით გამოვლენილ დარღვევებზე, ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე სათანადო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით. გარდა ზემოაღნიშნულისა, აუდიტორისათვის განკუთვნილი განგრძობითი განათლების პროგრამის თემატიკის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს აუდიტორების/გარიგების პარტნიორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები და დიაგნოსტიკური ანგარიში. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

3. სასწავლო კურსის სილაბუსი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სასწავლო პროგრამის დასახელება და ნომერი;

ბ) სასწავლო კურსის თემატიკა (დეტალურად);

გ) პროგრამის სწავლების ფორმატი;

დ) სწავლის შედეგები;

ე) სასწავლო კურსის მიზანი;

ვ) სწავლის ერთეულის ოდენობა (საათები);

ზ) სასწავლო ლიტერატურა და სხვა რესურსები;

თ) სწავლების ენა;

ი) პროგრამის ავტორი.

4. განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ სრული ინფორმაცია, არსებობის შემთხვევაში სასწავლო ლიტერატურა და სხვა რესურსები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მსმენელისათვის პროგრამის დაწყებამდე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 16.07.2020წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 25.08.2023წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №ნ-10 - ვებგვერდი, 04.09.2023წ.

მუხლი 17. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. პროფესიული ორგანიზაციის მიერ განგრძობითი განათლების ფარგლებში ორგანიზებული სასწავლო პროცესი უნდა ტარდებოდეს ლექციებისა და პრაქტიკული მაგალითების განხილვით, ლექციის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს ერთ საათზე ნაკლები.

2. სასწავლო პროგრამას უნდა ადგენდნენ და ლექციებს უძღვებოდნენ მაღალი კვალიფიკაციისა და პროფესიული რეპუტაციის მქონე ინსტრუქტორები/ექსპერტები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი საგნის/თემატიკის სიღრმისეული ცოდნა და საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება.

3. სალექციო პროცესი უნდა იყოს ინტერაქტიული – ლექტორი/ ინსტრუქტორი/ექსპერტი ნათლად უნდა ახდენდეს პროგრამის შინაარსის პრეზენტაციას და მსმენელს უნდა ჰქონდეს კითხვის დასმის და შესაბამისად პასუხის მიღების საშუალება.

4. სასწავლო გარემო უნდა იყოს სწავლისათვის შესაფერისი და უნდა პასუხობდეს თანამედროვე

მოთხოვნებს. აუდიტორიები უნდა იყოს აღჭურვილი როგორც საპრეზენტაციო ტექნიკით, ასევე სხვა საჭირო ინვენტარით.

5. ლექციაზე დასწრების ჩანაწერების წარმოება და მათი დადასტურების მიზნით 6 წლის ვადით შენახვა სავალდებულოა.

6. სამსახურის წარმომადგენელი მსმენელთა დასწრების მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით უფლებამოსილია დაესწროს პროფესიული ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროცესში ჩატარებულ ლექციებს.

მუხლი 18. რეესტრი

1. განგრძობითი განათლების პროგრამების რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს სამსახური.

2. რეესტრში რეგისტრაციისას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამებს ენიჭებათ ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი.

3. აღიარებული პროგრამების შესახებ რეესტრში უნდა იყოს ინფორმაცია:

ა) იმ პირის სამართლებრივი ფორმის, სახელწოდების, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართის, ვებგვერდის მისამართის, საკონტაქტო ინფორმაციის და საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ, რომლის პროგრამებიც აღიარებულია;

ბ) პროგრამის დასახელება, აღიარების თარიღი და მოქმედების პერიოდი.

მუხლი 19. პროგრამის გასაჯაროება

ის პირი, რომლის განგრძობითი განათლების პროგრამა აღიარებულია სამსახურის მიერ, ვალდებულია თავის საიტზე განათავსოს აღიარებული პროგრამა.

მუხლი 20. გარდამავალი დებულება

1. პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია, 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ გავლილი სწავლის ერთეულის (საათის) რაოდენობა ჩაუთვალოს სერტიფიცირებულ ბუღალტერს ამ სტანდარტის შესაბამისად.

2. ამ სტანდარტის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში, პროფესიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ 2017 წლის განგრძობითი განათლების პროგრამის სამსახურის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და აღიარება სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

3. პროფესიული ორგანიზაციების მიერ 2017 წლის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებისათვის არ მოითხოვება ამ წესის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სასწავლო კურსის სილაბუსში სასწავლო კურსის თემატიკის დეტალურად აღწერა და სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების წარდგენა.

4. პირისათვის, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ითვლებოდა სერტიფიცირებულ ბუღალტრად და ამ სტანდარტის მე-13 მუხლის 3^1 პრიმა მუხლის შესაბამისად შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი და განმეორებით სერტიფიცირდება „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის ნ-16 ბრძანების შესაბამისად, განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესასრულებლად განსაზღვრული სამწლიანი თანმიმდევრული პერიოდის ათვლა იწყება სერტიფიცირების მომდევნო კალენდარული წლიდან.

5. სერტიფიცირებული ბუღალტრების ერთიანი რეესტრის წარმოების მიზნებისთვის, სერტიფიცირებულ ბუღალტერს განგრძობითი განათლების მოთხოვნა დაკმაყოფილებულად

ჩაეთვალოს და ამ სტანდარტით დადგენილი 3-წლიანი პერიოდის ათვლა დაიწყოს 2020 წლიდან.

6. 2020 წლის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების მიზნებისათვის, პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია განცხადება სერტიფიცირებული ბუღალტრისათვის განკუთვნილი განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების მოთხოვნით, ნაცვლად ამ სტანდარტის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისიწინებული ვადისა, წარუდგინოს სამსახურს არაუგვიანეს 2020 წლის 1 აგვისტომდე.

[7. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების კურსი 2024 წლის პროგრამის ფარგლებში უნდა ფარავდეს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ყველა საკითხს და კურსი უნდა შედგებოდეს სულ მცირე 5 (ხუთი) საათისგან. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)***]

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №ნ-13 - ვებგვერდი, 19.08.2019წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანება №ნ-3 - ვებგვერდი, 30.04.2020წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 16.07.2020წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №ნ-9 - ვებგვერდი, 25.08.2023წ.

დანართი „ა“

აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 22 მარტის ბრძანება №ნ-3 - ვებგვერდი, 24.03.2021წ.

სწავლის შედეგები

კომპენტენციის სფეროები	**სწავლის შედეგები**
ა) აუდიტი	1. აქტიური ჩართულობით, აუდიტის ყველა ეტაპზე აუდიტის გარიგების გაძღოლა. 2. არსებითი უზუსტობების განსაზღვრის და შეფასების პროცესის გაძღოლა. 3. იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკის გათვალისწინებით აუდიტის გეგმის შედგენა. 4. არსებითი უზუსტობების რისკის საპასუხო ღონისძიებების შეფასება. 5. ყველა რელევანტური აუდიტორული მტკიცებულებების, მათ შორის, საწინააღმდეგო აუდიტორული მტკიცებულებების საკმარისობაზე და შესაფერისობაზე დაკვნის გამოტანა. 6. შეფასების გაკეთება, იყო თუ არა აუდიტი შესრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში სავალდებულოდ გამოსაყენებელი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, შესაფერისი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. 7. სათანადო აუდიტორული დასკვნის და დაკავშირებული აუდიტორის მოსაზრების შედგენა, მათ შორის, აუდიტის ძირითადი საკითხების აღწერა.
ბ)ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	1.შეფასება, იყო თუ არა ყველა სუბიექტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2. შეფასება, იყო თუ არა აღიარება, შეფასება, წარდგენა და გამჟღავნება სამეურნეო ოპერაციების და მოვლენების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. 3. შეფასება ხელმძღვანელობის სააღრიცხვო მსჯელობების და შეფასების, მათ შორის, რეალური ღირებულების შეფასების. 4. შეფასება ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის, სუბიექტის ტიპის, საოპერაციო გარემოს და ფუნქციონირებადი საწარმოს შესაბამისად.
გ) კორპორაციული მართვა, რისკების მართვა	1. შეფასება საერთო აუდიტის სტრატეგიის ფარგლებში კორპორაციული მართვის სტრუქტურის და რისკის შეფასების პროცესის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის თვალსაზრისით.

დ) სამეწარმეო და ორგანიზაციული გარემო	1. აუდიტის რისკის შეფასებისას, მათ შორის, ბაზრის, კონკურენციის, პროდუქტის ტექნოლოგიის და გარემოსდაცვის მოთხოვნების ანალიზი დარგის , მარეგულირებელი ნორმების და სხვა გარე ფაქტორების გათვალისწინებით.
ე) საგადასახადო დაბეგვრა	1. ფინანსურ ანგარიშგებაში დაბეგვრასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის რისკის საპასუხოდ შესრულებული პროცედურების შეფასება.
ვ) ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიები	1.ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების გარემოს შეფასება ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კონტროლის იდენტიფიცირებისათვის, რათა შეფასდეს აუდიტის საერთო სტრატეგიაზე მისი გავლენა.
ზ) ბიზნესსამართალი	1. იდენტიფიცირებული და სავარაუდო შეუსაბამობის კანონთან და სხვა მარეგულირებელ სამათლებრივ ნორმებთან აუდიტის საერთო სტრატეგიის გავლენის შეფასების მიზნით.
თ) ფინანსები და ფინანსური მართვა	1. სუბიექტის დაფინანსების სხვადასხვა წყაროების და გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება აუდიტის საერთო სტრატეგიის გავლენის მიზნით. 2. სუბიექტის ფულადი ნაკადის, ბიუჯეტების და პროგნოზების, სამუშაო კაპიტალის მოთხოვნების გავლენის შეფასება აუდიტის საერთო სტრატეგიაზე.
ი) კომუნიკაციის უნარები	1. ეფექტური და შესაფერისი კომუნიკაცია გარიგების გუნდთან, სუბიექტის ხელმძღვანელობასთან და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან. 2. აუდიტის პროცესზე კულტურული და ენობრივი განსხვავების პოტენციური გავლენის შეფასება. 3. საჭიროების შემთხვევში აუდიტის საკამათო საკითხების გადაწყვეტა კონსულტაციების გზით.
კ) პიროვნული უნარები	1. მუდმივად სწავლის წახალისება. 2. ქცევა როგორც აუდიტის გუნდისათვის მისაბაძი მაგალითი. 3. ქცევა როგორც მენტორი და ქოუჩი აუდიტის გუნდისათვის. 4. თვითგააზრების წახალისება.
ლ) ორგანიზაციული უნარები	1. შეფასება, აქვს თუ არა აუდიტის გუნდს, მათ შორის, აუდიტორის ექსპერტს, ერთობლივად სათანადო ობიექტურობა და კომპეტენცია აუდიტის შესასრულებლად. 2. გარიგების გუნდების ლიდერობით და პროექტის მართვით აუდიტის გარიგებების მართვა.
მ) საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულება	1. აუდიტის ხარისხის და პროფესიულ სტანდარტებთან, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობა საზოგადეობრივ ინტერესზე კონცენტრირებით.
	1. პროფესიული განსჯის გამოყენება აუდიტორული მოსაზრებისადმი, რომელიც დაფუძნებულია აუდიტის დაგეგმვაზე, შესრულებაზე და დასკვნის გამოტანაზე. 2. აუდიტის გარიგების შესრულების ყველა ეტაპზე პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენების ხელშეწყობა.

ნ) პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა	3. პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენება აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულების კრიტიკულად შესაფასებლად და კარგად დასაბუთებული დასკვნის გამოსატანად. 4. პიროვნული და ორგანიზაციული მიკერძოების გავლენის შეფასება პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენების შესაძლებლობაზე. 5. პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენება ხელმძღვანელობის მტკიცებების და ოფიციალური ინფორმაციის მიმართ. 6. კრიტიკული აზროვნების გამოყენება აუდიტის საკამათო საკითხების გადასაწყვეტად ალტერნატივების განხილვისა და შედეგების ანალიზისათვის.
ო) ეთიკური პრინციპები	1. ეთიკის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობის ხელშეწყობა. 2. აუდიტის პროცესში წარმოშობილი ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის მიმართ საფრთხეების შეფასება და რეაგირება.